ბარასკევი, აპრილის 25 1919 წ. ფასი 15 შაური. № 71.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ქვეყანა

ყოველი მესამე.

რედაქცია

საბაზმთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქცია ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის ს. ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

კანტორა

გაზეთის ფასი; ერთი თვით 15 მან. 3 თვით 45 მან. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. უკანასკნელზე 50 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 12 საათამდე 20 მ., 12 საათის შემდეგ 25 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ჰიჰიკო ალექსანდრეს ძე გელოვანი, დედა ნინა ივანეს ასული ლორთქიფანიძისა, ძმა ციცერონ, დები: ვალენტინა ცანავასი, ელენა ხოჯავანოვისა და ნადეჟდა ჩქოტუასი, სიძეები: არსენ გაბრიელის ძე ცანავა, ივანე ფრანცის ძე ხოჯავანოვი და ხუჭუჭი (იგივე პეტრე) ჩქოტუა, მაზლები: ვლადიმერი, მიხეილი, სიმონი და გრიგოლი ალექსანდრეს ძენი გელოვანები ოჯახობით, მეღლები: ლუბა, მარუსია, საშა და ოლია ალექსანდრე გელოვანის ასულნი, ეუწყებენ ნაცნობთ, მეგობართ და ნათესავთ, რომ 24 აპრილს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა, მათთვის უძვირფასესი

გულა დარისპან ლორთქიფანიძის ასული

გელოვანისა

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, ფერმის ქუჩა, ბლიუმზაკის სახლი. დაკრძალვა კვირას, 27 აპრილს საფიჩხიის სასაფლაოზე, ნაშუადღევის 4 საათზე. 3—1

საჭიროა გამოცდილი **რეპარტიორი**

ცნობების შეკრებად.

პირობების გაგება შეიძლება გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში. დილის 9—1 საათამდის, საღამოს 5—6 საათამდის.

საქართველო და ბოლშევიზმი.

ჩვენი მთავრობა ბოლშევიკების გზას დაადგა: ამას—ქალაქებში მიწების ყიდვა-გაყიდვის აკრძალვის კანონის გამოცემა მოწმობს.

რა აზრი აქვს ამ აკრძალვას? რასაკვირველია, მხოლოდ ის, რომ ბოლოსდა-ბოლოს მიწების ჩამორთმევა ანუ სოციალიზაცია უნდათ განახორციელონ.

მაგრამ საკვირველი ის არის, რომ სოციალიზაციის შეუძლებლობა სოფელში—აღარავისთვის საეჭვო არ უნდა იყოს, მთავრობა კი თავისას არ იშლის და ახლა ქალაქშიაც უნდა გადაიტანოს ეს უშედეგო ცდა.

ჩამორთმეულ სასოფლო მამულებს თვითონ მთავრობამ ვერ მოუარა, ვერ მოიხმარა, და გადასწყვიტა მიწისმუშებს ნაჭერ-ნაჭერ მიჰყიდოს. ეს კი, ცხადია, სოციალიზაციის უარყოფაა.

დარჩა მხოლოდ კანონი მაქსიმუმის შესახებ, რომლის ძალითაც მიწისმოქმედს უფლება არ აქვს, შვიდ დესეტინაზე მეტი ჰქონდეს. მაგრამ ამ კანონსაც (?!) ადვილად შემოევლება: მყიდველს შეუძლია ზედმეტი მიწა იჯარით აიღოს და იჯარის ფული წინდაწინ გაისტუმროს! ეს განა იგივე ყიდვა არ იქნება?!

დიაღ! ყოველივე კანონი, რომელიც ცხოვრებას არ შეესაბამება, მხოლოდ ქაღალდზე დარჩება და საზოგადოებრივი წესწყობილების პრინციპად ვერ გადაიქცევა.

და ბევრია ასეთი შემთხვევა: ჩამორთმეულ მიწებს მთავრობა ისევ ძველ მეპატრონეებს აძლევს იჯარით!

მაშასადამე პირველად თვითონ მთავრობამ დაარღვია მის მიერვე გამოცემული კანონი!

დღეს კი ქალაქში აკრძალეს მიწების გაყიდვა-დაგირავება და ამით აუარებელი მოქალაქე უკიდურეს მდგომარეობაში ჩააყენეს.

იმავე დროს ეს კანონი ქალაქების ზრდას შეაჩერებს. რომელი სოფელი მიეწერება დღეის იქით ქალაქს?! და, უეჭველია, ის სოფლები, რომელნიც სოციალ-დემოკრატიამ საარჩევნო მიზნისთვის ქალაქების ფარგლებში შეაგდო (ახალსენაკში, სამტრედიაში), ამ პარტიას ხაფანგში თავის გაბმისათვის მადლობას არ ეტყვიან!

მაშასადამე ბოლშევიზმის ნაწილობრივი განხორციელება—ხალხის ეკონომიური წარმატების შებორკვაა.

მაგრამ, ჩვენს სოციალ-დემოკრატიას, უეჭველია, თვალი დიდი რუსეთისაკენ უჭირავს და, უფლება თუ ხელში შერჩა, ბოლშევიზმის ფართო მასშტაბით განხორციელებას შეუდგება.

მაგრამ, ცხადია: თუ კი ყველა სახელმწიფოებრივი დაწესებულება (რკინის-გზა, ფოსტა, სახაზინო მამულები და სხ.) დეფიციტს იძლევა და მთავრობას ახლანდელი მოხელეების მცირე რიცხვიც ვერ უზრუნველუყვია ჯამაგირებით,—როცა მთელი საქართველოს ერი მოხელეებად გადიქცევა, საერთო შემოსავალი ყველა მოთხოვნილების მეასედსაც კი ვერ გასწვდება და საყოველთაო შიმშილი ჩამოვარდება.

აქედან კი შემდეგი გამომდინარეობს: მმართველ პარტიას აკლია ის შეგნება, რომ, რამდენადაც მეტი ქონება მოიყრის თავს მთავრობის ხელში, იმდენადვე გაიზრდება მისი ვალდებულებაც.

როდესაც მიწა მესაკუთრეს ჰქონდა, მთავრობას შეეძლო მისთვის გადასახადი გადაეხადევინებია, დღეს კი, როდესაც მიწა მთავრობის ხელშია, უკანასკნელი მოვალეა ამ მიწას იმდენი სარგებელი მოაცემინოს, რო ყოფილ მესაკუთრეზე დადებულ ტვირთს მაინც უდრის.

ეს კი ნელია: სახელმწიფოს მამულების მოუარეებსა და მოხელეებს შემოსავალი თიოქმის მთლად თვითონვე სჭირდებათ და ხაზინას აღარა რჩება რა!

ეს არის უმთავრესი მიზეზი, რომ სახელმწიფოს ორი მილიონი დესიატინა ტყის, ექვსი მილიონი დესიატინა საბნავ-საძოვრისა და რვაასიათასი დესიატინა საძოვრისაგან ჯერ მოგება არ უნახავს! და ვერც ნახავს!

მაშასადამე საქართველოს ერი, თუ უნდა განსაცდელი თავიდან აიშოროს, ერთსულოვნად უნდა წინააღუდგეს ბოლშევიზმსა და უნდა მოითხოვოს, რომ როგორც საკონსტიტუციო კანონები, აგრეთვე თვითეული კანონი, რომელიც კერძო საკუთრებას ზღუდავს და მაშასადამე სოციალური წესწყობას ძირიანადა სცვლის, რეფერენდუმით ანუ ხალხის მიერ საყოველ[illegible]

[illegible]

ქვეყნი.

პრესა.

ძველი რუსეთის ნანგრევებზე საოცარის სისწრაფით აღმოცენდა უამრავი ეროვნული რესპუბლიკები. რევოლიუციის მგრეველ და კატასტროფიულ ენერგიიდან მხოლოდ ეს პოლიტიკური ერთეულები შეიქმნა ყველაზე უფრო მისაღები და დადებითი. ქართველი ნაციონალისტიც, რომელსაც სახელმწიფოებრივი ცხოვრების რევოლიუციონური მეთოდი პრინციპიულად არ სწამს,—მხოლოდ იმ მოსაზრებით აყვა რევოლიუციონურ ელემენტებს, რომ საქართველოს პოლიტიკური თავისუფლება ამ საერთო ძალით უფრო უზრუნველეყო. ამ შემთხვევაში მიზანს მივაღწიეთ. მაგრამ დღეს უკვე სხვარიგად სდგას საკითხი: რუსეთში ორი ადამიანი ებრძვის ერთიმეორეს საბედისწეროდ. ერთი მხრით დენიკინი და მეორე მხრით ლენინი. შესაძლებელია ისტორიამ ჩვენი პატარა რესპუბლიკა არჩევანში გამოიწვიოს, რომელი გირჩევნია, ლენინი თუ დენიკინი. ჩვენს მთავრობასა და მის ოფიციოზ გაზ. „ერთობა“-ს ამ დღისთვის გარკვეული და პირდაპირი პასუხი არაქვთ. უკანასკნელ ხანებში მენშევიკურ მთავრობამ საკმაოდ შეისწავლა ბისმარკის დიპლომატიური ხერხი: ენა იმიტომ მაქვს სიმართლე არაოდეს ვსთქვაო. გაზ. „ერთობაც“ ასეთი ენით გვესაუბრება გუშინდელს მეთაურში. „ერთობა“ ეკამათება ამ საკითხის შესახებ რუსულ გაზ. „სოც. დემ.“:

„საბჭოთა მთავრობაში დავინახოთ არა მტერი, რომელთანაც საჭიროა ბრძოლა, არამედ მოკავშირე საერთო ბრძოლაში რუსეთის და ევროპის რეაქციასთან სოციალიზმის განსახორციელებლათ“. ამის ავტორთ სურთ საქმე ისე წარმოიდგინონ, თითქოს შერიგება ბალშევიკურ რუსეთთან ჩვენზე იყოს მხოლოდ დამოკიდებული. რასაკვირველია, თუ მას, ესე იგი ბალშევიკურ რუსეთს, დავემონებით, ამით ბრძოლაც შეწყდება, მაგრამ თუ არ დავემონებით? ამ შემთხვევაში ბრძოლის შეწყვეტა და მტრობის ამოფხვრა დამოკიდებულია არა საქართველოს დემოკრატიაზე, არამედ ბალშევიკურ რუსეთზე. ჩვენ ომს არავის ვუცხადებთ, და რომ ბალშევიკური რუსეთი და მისი შეგნებული, თუ შეუგნებელი ამყოლნი იარაღით, არეულობის გამოწვევით, ანარქიის შექმნით, დამშვევით და სხვ. არ ცდილობდეს ჩვენს დანგრევას, რომ იგი თვით რუსეთში გაამრთელებდეს ერთ დემოკრატიულ ფრონტს, და სოციალ-დემოკრატებთან ბრძოლის მაგიერ მათთან მეგობრულათ იცხოვრებდეს, ერთი სიტყვით, რომ იგი ანარქო ბლანკისტური, გამოიშველი და სისხლისმღვრელი პოლიტიკის ნაცვლათ, მართლა პროლეტარულ, კლასიურ პოლიტიკას [illegible] [illegible]

თორემ განა შეიძლება საერთო ენა და ლაპარაკი მასთან, ვინც ყოველ წუთს იარაღით, ტყვიით, ხიშტით გვემუქრება?

თვით ჩვენი განმარტოვება რევოლიუციურ ბრძოლაში შედეგი იყო ბალშევიკების ამ უმზგავსო პოლიტიკის, გაიხსენეთ თუნდ ის ფაქტი, რომ ბალშევიკები თფილისს დანგრევასა და ჩვენი მენშევიკური მთავრობის ჩამოხრჩობაზე გაჰკივოდენ მთელი წლების განმავლობაში, სანამ თვით არ ეახლენ მსხვერპლი ოსმალთა ასკერების.

განა საერთო მტერი არ გვყავდა მაშინ? განა ჩვენ არ მოვუწოდებდით მათ ფრონტის გაერთიანებისაკენ შავი რეაქციის წინააღმდეგ? და რა მივიღეთ ამის ნაცვლათ? კონტრ-რევოლიუციონერებათ მონათვლა, უშვერი ლანძღვა და სასტიკი მუქარა: გაგისწორდებითო. მივიღეთ აგრეთვე უმსგავსი აჯანყებები დუშეთში და სხვაგან, როცა ოსმალთ ასკერებისაგან ბათომს ვიცავდით.

ამიტომ ჩვენი ყოფილი ამხანაგის ესენის ტკბილ სიმღერას შერიგებაზე ჩვენ ასე იოლათ ვერ ვიწამებთ.

ჩვენ გვინდა საქმე და არა სიტყვა. და როცა საბჭოთა რუსეთი ასერ საქმეს დაგვანახვებს, შეთანხმებაზე და საერთო ბრძოლაზე მაშინ დაისმის საკითხი. მანამდე კი ჩვენ საკუთარი ღონისძიებით და საშვალებით შეებრძოლებით ჩვენზე მოსულ რეაქციას, საიდანაც და რა სახითაც უნდა მოგვევლინოს იგი. და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მუშათა კლასი საქართველოსი, როგორც დღემდე, ისე შემდეგშიაც შესძლებს თავის რევოლიუციური გზის შენარჩუნებას.

ამ ამონაწერიდან ცხადია ერთი რამ: ბოლშევიკებსა დამენშევიკებს ჰყავთ „საერთო მტერი“. ასეთი მტერებია ყველა ის ვინც ამ ორი ფრაქციის არც პოლიტიკურსა და არც ეკონომიურ ფილოსოფიას იზიარებს და ყველა ის ვინც რევოლიუციის წინააღმდეგ წავა. „საერთო ენის გამონახვაც“ მხოლოდ მაშინ მოხერხდება მათ შორის, როდესაც ბოლშევიკები აგრესიულ პოლიტიკას მენშევიკურ მთავრობის წინააღმდეგ თავს დაანებებენ და მართლა „**პროლეტარულ, კლასიურ** პოლიტიკას დაადგებიან“. ჩვენ ვიცნობთ „ერთობა-“სა და ერთობის ენას. ჩვენ ისიც გვახსოვს, რომ ნ. ჟორდანიამ წმინდა პროლეტარულ და „სოციალურ რევოლუციის მოხდენას მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს აუდიტორიას მხოლოდ იმ დღიდან შეპირდა, რა დღესაც რუსეთის რევოლიუციას რომელიმე ევროპიული სახელმწიფო გამოეხმაურებოდა. და შეიძლება მიუნხენის ბანდისტები საამისო გარანტიას კიდევაც აძლევს ჩვენს „უმაღლეს ხელმძღვანელს“. ქართველ ნაციონალისტისათვის კი დენიკინის თეთრი არმია და ლენინის წითელი არმია თანაბრად მიუღებელი იყო და იქნება მუდამ. და თუ ისტორიამ ამ ორ ადამიანში „ნაკლებ ბოროტი“ ადამიანის არჩევა დაგვაკისრა, ჩვენ ჩვენს საკუთარ მკლავს მივანდობთ საკითხის საბოლოოდ გადაჭრას.

უკანასკნელი ცნობები.

საქართველოს დელეგაციის დეპეშა.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს: თქვენი დეპეშა დამფუძნებელი კრების შესახებ უკვე მივიღეთ. სტამბოლში ყოფილ ჩვენი დელეგაციისგან მხოლოდ ორი ჩამოვიდა. ნებართვა მივიღეთ აგრედვე დ-რ ლამბაშიძისა და ნიკოლაძისათვის. ვცდილობთ მივიღოთ ნებართვა სხვებისათვისაც. ვამზადებთ ნიადაგს და ყოველ მხრიდან თანაგრძნობით გვხვდებიან. ჩვენი საკითხი, როგორც სჩანს, მტრებთან ზავის შეკვრის შემდეგ გაირჩევა. **ჩხეიძე, წერეთელი, გვარჯელიანი ბათომში.**

ბათომი, აპრ. 16 დილით ჩამოვიდა ბათომში საქართველოს წარმომადგენლად დანიშნული გ. დ. ჟურული, რომელსაც სადგურზე ქართული ორგანიზაციათა წარმომადგენლები დახვდნენ.

ფოთის ადმინისტრაცია.

ფოთი, აპრ. 21. მთელი ძველი მილიცია დათხოვნილია. ყველა უბნის დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა მოაწყვეს თავდაცვა. მოქალაქენი ამ მიზნით თვითონ გამოდიან ღამ ღამობით სადარაჯოთ, სანამ მოეწყობოდეს ახალი მილიცია.

900.000 მან. მოპარვის განზრახვა.

ამ დღეებში თბილისში ჩამოვიდნენ ადერბეიჯანის რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის ამხხნაგი ტემირ-ბეგ მაკინსკი მინისტრთა თავმჯდომარის კანცელარიის დირექტორი რაშიდ ბეგ იზმაილოვი და ექიმი ჰამიდგანი-ზადე. მათ დავალებული ჰქონდათ თბილისის სახელმწიფო ბანკიდან 900,000 მან. მიღება. ეს ფული ადერბეიჯანის მთავრობის მიერ გადადებული იყო სამხრეთ დასავლეთ ადერბეიჯანის ლტოლვილთა დამხმარე ორგანიზაციის მოსაწყობად. აღნიშნული თანხა ხაზინიდან მიიღეს 17 აპრილს, იზმაილოვმა ეს თანხა თავის ბინაზე (სასტუმრო ორიანტში) წაიღო. შენახული ფული უეცრად დაიკარგა. 18 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა საგანგებო რაზმის უფროსს უბრძანა ენერგიული ზომების მიღება დაკარგულ თანხის აღმოსაჩენად. გამოძიების შემდეგ, გამოირკვა, რომ ფულის მითვისება განუზრახავთ თვით დირექტორსა და მის შიკრიკს, რომელთაც ფული სასტუმროს ღუმელში დაუმალავთ. საგანგებო რაზმის უფროსმა ბოროტმოქმედნი დააპატიმრა.

ბრძოლის ველზე.

სოჭის ფრონტი.

სახალხო გვარდიის ცნობა.

დენიკინის წინააღმდეგ შეტევა დაიწყო აპრილის 17 დილის 4 საათზე. ცხენოსანი დივიზიონი ხელ ახლად გადავიდა მდ. ბზიბზე. გადასვლის დროს დაიხრჩო ერთი ცხენოსანი და სამი ცხენი. მარჯვენა ფრთა მიუახლოვდა მამულ „ოტრადნო“-ს, ხოლო მარცხენა დიდ მთავრისეულ მამულს „კოლხიდა“-ს. აქ დავატყვევეთ 4 ოფიცერი და 2 ჯარისკაცი. მტრის არტილერია ცხენოსან დივიზიონს უშენს. ჩვენი ნაწილები წინ მიიწევენ. დღეს აპრილის 17-ს ჩვენმა ჯარებმა 14 საათზე გაგრა აიღეს და 6 ვერსით წინ წაიწიეს. ორივე მხრით გარს შემოვლილმა მტერმა წინააღმდეგობა ვერ გაგვიწია და ილტოდა. ჩვენი ზარალია: მოკლული 2 და 3 მსუბუქად დაჭრილი. მრავალი ოფიცერი და ჯარისკაცი მოხალისეთა ჯარის დავატყვევეთ. დოვლათსა და ტყვეთა რაოდენობას ჩქარა გამოვარკვევთ. ჯარის ნაწილთა და სახალხო გვარდიის ქცევა ყოველგვარ ქებას აღემატება.

სახალხო გვარდიის შტაბის ცნობა.

აპრილის 18. დღეს დილის 9 საათზე, სახალხო გვარდიის ცხენოსანმა დივიზიონმა მდ. მახადირის გეზი დაიკავა. დამარცხებულმა მტერმა, ამბოხებულ მცხოვრებთა თოფის ცეცხლში გახვეულმა მდ. მზიშტას იქით დაიხია.

გაგრა. შეტევით აპრილის 18-ს, დილის 7-ს. ჩვენმა ჯარებმა მდ. მახადირის ხაზი დაიკავეს. მოხალისეთა ჯარები სოფელ „ვესიოლოეს“ დასავლეთით თავს იყრიან. დაზვერვას განვაგრძობთ.

აპრილის 22. ბრძოლის ველზე მდგომარეობა უცვლელია. მდინ. მზიმთის მარცხენა ნაპირზე მტერი არ არის. მზვერავთა ცნობით, მოხალისეთა ძალები ადლერის მიდამოში თავს იყრიან.

მდ. მზიმის მარჯვენა ნაპირის მცხოვრებნი გვთხოვენ შველას იმ საშინელ შეურაცხყოფებისაგან. [illegible] ქალს, არც ბავშვს არ ინდობენ... მოკლულებს მდ. მზიმთაში ჰყრიან.

გაგრის ჯარის საველე შტაბის ცნობა.

აპრილის 22. აპრილის 17, ბრძოლაში ჩვენმა ჯარებმა წამოიყვანეს ტყვედ 88 ოფიცერი, 150 აფიცერი, 150 ჯარისკაცი, მოკლულია მათგან 87 ჯარისკაცი და ოფიცერი, გაქცეულ მტერს დარჩა ჰოსპიტალი, რომელშიაც 25 ოფიცერი და 360 ჯარისკაცი წვანან. ღამემ ბრძოლის ველზე მშვიდობიანად ჩაიარა.

ახალციხის ფრონტი.

არტაანის აღება.

აპრილის 18 19 შევიწროვებული მტერი ჩვენმა ჯარებმა კლდეზე ასდევნეს, რომელიც კიარკაბან-ორაჩასის ხაზზე მდებარეობს. აპრილის 20 ჩვენმა ჯარმა თავგამოდებით შეუტიეს და მტერი იმ მწვერვალებიდან გადასდევნეს. მტერმა ისე ჩქარა დაიხია, რომ ვერ მოასწრო მდ. მტკვარზე მდებარე არტაანის მარცხენა სიმაგრეებზე გამაგრებულიყო. ჩაულის უღელტეხილზე დარჩათ 100 ყუმბარაზე მეტი. უკან დახევის დროს მტერი სცდილობდა ხიდების დაწვას, მაგრამ ალში გახვეულ ფიხრელის ხიდის ჩვენი არტილერიის დახმარებით გადარჩენა. შევსძელით, ამან მტკვრის მარჯვენა შეძლება მოგვცა ნაპირზე გადასვლისა.

მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გამაგრებულმა მტრის ნაწილებმა ჩვენი ჯარის შეტევას ვერ გაუძლეს და ოლთისა და ყარსის მიმართულებით დაიხიეს. მე-6 პოლკის მოწინავე რაზმმა მტერს დაატოვებინა ზარბაზანი 18 ყუმბარის ყუთით. ჰაზ-ტანახის სიმაგრეებზე ჩვენ წავართვით მტერს ციხის 4 გაუბიცა მრავალი ყუმბარებით.

თვით არტაანში ხელთ ვიგდეთ დიდძალი თივა და პური. არტაანში მცხოვრებლები არ აღმოჩნდნენ. ჩვენი ზარალი ჯერ გამორკვეული არ არის, ხოლო მტერი ძალიან არის დაზარალებული. ადგილობრივ მცხოვრებთა ჩვენებით, მტერს ხელმძღვანელობენ: ჯემალ-ბეგ და რომანბეგ ხიმშიაშვილები. სერვერ-ბეგის სიკვდილი მართალი არ გამოდგა, ამბობენ რომ სანამ ჩვენი ჯარი მტკვარს გადალახავდა, მტრის რაზმებს იგი მეთაურობდაო.

გენ. ართმელაძის რაზმი სენდიერან-გიუნდაშ თამალში არის დაბანაკებული. რაზმი უცდის ჩამორჩენილ არტილერიას და სურსათის ურმებს. წინ გაგზავნილ მზვერავებს მტერი ჯერ ვერ აღმოუჩენიათ. გენ. ართმელაძის მოხსენების მიხედვით ჯარის სულიერი განწყობილება მშვენიერია. გენ. სუმბათაშვილმა დღეს პირადად დაზვერა სოფ. წყაროსთავი. მის [illegible] გაშლილი 250 კაცი. გენერალ სუმბათაშვილმა წინამძღოლი გამოიძახა, აუხსნა მდგომარეობა და იარაღის ჩაბარება მოსთხოვა. წინამძღოლი დაეთანხმა, მაგრამ სთხოვა რომ ნება მიეცა ჩელდირის რაიონის სხვა სოფლებსაც მოლაპარაკებოდა. წყაროსთაველებს 3 დღის ვადა მიეცათ, რის შემდეგაც უნდა დაიწყონ იარაღის ჩაბარება და ახალქალაქ-არტაანის გზა უნდა გასწმინდონ.

აღსანიშნავია, ასეულის უფროს კაპიტან მარინაშვილის ხელმძღვანელობით საპიორთა თავდადებული მუშაობა, რომელნიც მიუხედავად ცუდი ამინდისა და ადგილ-მდებარეობის ხანთარის უღელტეხილზე გადასული გზა მაღალ თოვლით დაფარული გასწმინდეს.

ვეშაპელის საქმე

აპრილის 17 სასამართლომ დაასრულა ვეშაპელის საქმის გარჩევა.

კაჩუხოვმა და მისმა დამცველმა ბებურიშვილმა თავის სიტყვებში ხაზგასმით სთქვეს, რომ თუ სასამართლომ ვეშაპელი გაამართლა, ეს იქნება კაჩუხოვის გამტყუნება და მისი მორალური სიკვდილი.

ვეშაპელმა თავის საპასუხო სიტყვაში განაცხადა, რომ პროკურორ დილევსკისა, საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარის ივ. ჯაფარიძის და მ. სესიევის სიძის, დავ. კალანდაძის ჩვენებათა შემდეგ ნათლად დამტკიცდა ფაქტი ივ. კაჩუხოვის მექრთამეობისა, ხოლო გერ. მახარაძის და იას. აფაქიძის ჩვენებამ დაამტკიცა ისიც რომ ივ. კაჩუხოვი მართლაც დათხოვნილი ყოფილა ამ ნიადაგზე. რაც შეეხება „კლდეში“ დაბეჭდილ ცნობის მიზანს, იგი არ იყო პირადი, არამედ საზოგადოებრივი და ეს საზოგადოებრივი მიზანი უკვე მიღწეულია მით, რომ ბ-ნი კაჩუხოვი ჩვეულებისამებრ ვეღარ დანიშნეს ახლა უფრო მაღალ ალაგზე და მიუხედავათ „მოხუც“ სილ. ჯიბლაძის პროტექციისა, ვერ გაბედეს კაჩუხოვის დანიშნა პროკურორად და მაშასადამე 1535 მუხლის ბრალდება შეუძლებელია.

ხანგრძლივი თათბირის შემდეგ სასამართლომ გამოაქვეყნა თავისი ვერდიქტი, რომლის ძალით გ. ვეშაპელი გამართლებულ იქმნა. კაჩუხოვმა არ მოუცადა განაჩენის გამოტანას.

ცნობები რუსეთიდან

(საკ. კორესპოდენტიდან)

კ რ ა ს ნ ო ვ ი

(წერილი იალტიდან 8 მარტი)

რიაქციონურ რუსულ მონარქიულ ბუდეს ყუბანსა და დონს დაშლა დარღვევის პროცესი ეხვევა გარშემო. უკანასკნელ დროს თანამდებობიდან გადადგა ცნობილი ატამანი კრასნოვი... „განსაცდელის პირს მეთაურნი გარბიან!.. მცირე ერების თავისუფლების ფეხ ქვეშ გათელვის მოსურნე მოხალისეთა შავი არმია სრკვდილის აგონიას განიცდის. [illegible] ჩნდება დანგრევის ქარცეცხლი, რომელიც მას უთუოდ ბოლ[illegible] ვის წასვლა წრეულს ისეთივე პროვიდენციალური ფაქტია, როგორც კალედინის თვითმართველობა შარშან. კრასნოვების წასვლა ველარ გაამთელებს დაბზარულ სხეულს, შავრამულ „სრულიად დიდ დონის ჯარისას, რომელი გატყავებულ ყაზახ რუსთან ღვინი ბოჭკაზე მჯდომი, რომელიც ამ მხარის გერბს ნიშნავს სასიცოცხლო დღეებს ეთხოვება... მაგრამ ერთი ვაის გაყრის შემდგომ ჩვენთვის ფრიად საინტერესოა, როგორ ვაის შეეყრებით.

მუქარა კავკასიისადმი

ადგილობრივ კომუნისტურ მთავრობის ოფიციოზ „იზვესტია“ ში (№ 39 13 თებერ. 1919 წ.) მოთავსებულია მეთაური წერილი შემდეგი სათაურია.„ ახლოა კონტრევოლუციონერების აგონია“.

წერილში გაკიცხულია სხვათაშორის კავკასიელი სოციალ-გამცემლები“.

იხსენიებენ ჩხეიძეს და წერეთელს, რომელნიც თურმე გაექცენ ძლევა მოსილებით მავალ და სოციალურ რევოლიციის ცეცხლის მფრქვეველ რუსეთის პროლეტარულ რევოლუციას, შეებუდენ კავკასიაში და იქ კონტრევოლუციის წისქვილს აბრუნებენო“.

შემდეგ გაზეთი სიხარულით ამბობს: დღეს როდესაც წითელი არმია ყოველ დღე იმარჯვებს დათვლილი დღეები კონტრევოლუციენურ ყუბანისა და დონისა წითელი პროლეტარიატი კავკასიელ გამცემლებსაც გაუსწორდებაო“...

კავკასიის ხალხთ მართებთ ბოლშევიკურ საფრთხეს სერიოზულად ჩაუფიქრდენ.

ახალი ამბავი

ქ უ თ ა ი ს ი.

[illegible] დარბაზში კვირას, 27 აპრილს, დილის 10 საათზედ დანიშნულია ამავე საზოგადოების წლიური საზოგადო კრების გაგრძელება. განსახილველია საზოგადოების მოსამსახურეთა შტატის შემოკლების საკითხი და არჩევა გამგეობის თავმჯდომარისა და გამგეობის ერთი წევრისა ნაცვლად იოსებ კემულარიისა, რომელმაც სამსახურს თავი დაანება.

მკვლელობა. 13 აპრილს, ნაშუადღამევის 2 საათზე აბაშის რაიონის კომისარი სოფელ სამიქაოში თავს დაესხა ცნობილ სამეგრელოს ავაზაკს ტარასი ლოჩოშვილს, რომელიც ღამეს ათევდა საჩინო მიქაძის ოჯახში. ავაზაკი არ დანებდა ცოცხლათ მილიციას და სროლა აუტეხა, მაგრამ ას-ოცამდე ტყვიის გასროლის შემდეგ თვითონ შეიქმნა მილიციის ტყვიის მსხვერპლი, ხოლო სროლის დროს სახლის პატრონიც მოკვდა, რომელიც კომისრის წინადადებით გარეთ არ გამოვიდა და ლოგინ ქვეშ შემძვრალა. ამბობენ თვით ლოჩოშვილმა ექვი მოიტანა მაზედ მილიციის გამოწვევაში და მოკლაო.

განსვენებულის ვაჟთა 2 გიმნაზიის დირექტორის იოსებ ივანეს ძის ოცხელის სახელის სასტიპენდიო ფონდის გასაძლიერებლათ შემოსწირეს: 1) დიმიტრი მიხ.-ძე ბახტაძემ 250 მან. 2) ძმ. სტეფანე და გრიგოლ ოცხელებმა — 300 მან. 3) ხოჯევანოვის ქალთა პროგიმნაზიის კორპორაციამ 300 მან. 4) ევგენია კორძაიასამ — 50 მან. 5) მიხეილ წინამღვარიშვილმა — 10 მან. 6) ევგენია კორძაიას ქალ. გიმნაზიის კორპორაციამ — 110 მან. 7) ნიკოლოზ ახვლედიანმა — 100 მან.

მადლობა. ქუთაისის სამხედრო სამმართველო მადლობას უცხადებს ქუთაისის ქალთა ინტერპარტიულ ბიუროს პაპიროსის, თუთუნის, ჩაის, ქაღალდის, კონვერტის, წინდების და სხვა ნივთების

შემოწირვისათვის ჯარის კაცების დასარიგებლათ.

◆ **ინტერპარტიული ქალთა წრე** სთხოვს თავის წევრებს დაესწრონ კრებას ამ თვის 29-ს, სამშაბათს, საღამოს 6 საათზე მუშათა საბჭოს ბიუროში.

◆ **მედიკ სტუდენტთა კრება.** 19 აპრილს შესდგა ქუთაისში მყოფ სტუდენტ-მედიკთა საერთო კრება, რომელმალ დაადგინა: დაარსდეს სტუდენტ-მედიკთა შრომის ბიურო, რომელსაც ექნება დამოკიდებულება ქუთაისის გუბერნიის ექიმთა კავშირთან. ამისათვის აირჩია დროებითი გამგეობა 3 კაცისაგან შემდგარი, რომელსაც, სხვათა შორის დაავალა წესდების შემუშავება და შემდეგ კრებაზე წარმოდგენა.

◆ **ამავე ბიუროს** დროებითი გამგეობა იწვევს საერთო კრებას სტუდენტ-მედიკებისას კვირას 17 აპრილს სრულ 12 საათზე სოც.-ფედ. კლუბში. დღიური წესრიგი: 1) წესდების განხილვა და დამტკიცება, 2) ახალი პრეზიდიუმის არჩევა. ვთხოვთ პროვინციელ ამხანაგებსაც აუცილებლათ დაესწრონ.

ქალ. თეატრი. შაბათს 26 აპ. ⁄ კვირას 27 აპრილს, ქალაქის თეატრში ჩვენი დასის მიერ იქნება წარმოდგენილი ისტორიული 5 მოქმედებიანი პიესა 1623 წელი. მონაწილეობას მიიღებს მთელი დასის ძალები.

◆ **საქველმოქმედო სეირნობის გამართვის ნებართვა.** ქალაქის საბჭომ დაადგინა ქალაქის ბაღში საქველმოქმედო სეირნობის გამართვის ნება მიეცეს მხოლოდ სამ კულტურულ საზოგადოებას: წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებას, სახალხო უნივერსიტეტს და დრამატიულ საზოგადოებას.

◆ **ნიხრის გადასინჯვა.** ქალაქის საბჭომ 17 აპრილის არაჩვეულებრივ სხდომაზე გამოიმუშავა ნიხრი. დააწერა გირვანქა საქონლის ხორცზე 5 მან. საპონზე 8 მ. 75 კ. გამოსული ღორის შაშხზე 12 მან. გამოუსვლელზე 10 მან. და სხვა საბჭომ დაადგინა ნიხრის ცხოვრებაში გასატარებლათ ყოველგვარი ზომები იქნეს მიღებული. ნიხრის დამრღვეველი გარეშე მისი სამართალში მიცემისა დასჯილ იქნება წინასწარი ადმინისტრატიული წესით.

◆ **ოზურგეთის** მილიციის უფროსი ლომაძე ატყობინებს ქუთაისის ადმინისტრატიული ნაწილის ინსპეკტორის თანაშემწეს გეგელაშვილს რომ იქ 18 აპრილს ბაზარზე ტყვიით დასჭრეს გიორგი ჩხაიძე. დამნაშავე შეიპყრეს.

◆ **ქალის გატაცება.** სოფელ ლოხოურში (ოზურგეთის მაზრა) პალიკო ბერძენიძემ გაიტაცა კონსტანტინე იორაიშვილის ქალიშვილი, ამის გამო თანახმად იორაიშვილის თხოვნისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ქუთაისის ინსპექცია ქუთაისის მაზრის კომისარს წინადადებას აძლევს მოახდინოს ამის შესახებ სასტიკი გამოძიება.

ეკზეკუცია ოკრიბაში.

(წერილი ოკრიბიდან)

დღეს თანდათან ყველასათვის ნათელი ხდება ის მოსაზრება, რომ სოციალ-დემოკრატიას, არ შეუძლია ხალხის მართვა-გამგეობა, არ შეუძლია გაიგოს ქართველი გლეხის ფსიხოლოგია და ამორალურ მცნებებზე აღზრდილი „მუშათა პარტია“ ხდება ავაზაკობის ანარქიის და ძალმომრეობის სინონიმად. ჩვენთვის ეს თავიდან აშკარა იყო და ჩვენ გარკვევით უწინასწარმეტყველებით ამ პარტიას, როგორც ზნეობრივ, ისე ფიზიკურ კრახს, მაგრამ ჯერ-ჯერობით მაინც ძალამ ალმართი ახნა და სოციალ-დემოკრატია სწყვეტს საქართველოს ბედს, როგორც შინ, ისე გარეთ, რომ თვალი გადავავლოთ სოციალ- დემოკრატიულ მოღვაწეობას ამ უკანასკნელი დროისას ადმინისტრატიულ, სასურსათო, მრავალ სხვა დარგში, ჩვენ აშკარათ დავინახავთ ერთ მრავალ მნიშვნელოვან ფაქტს. ეს ფაქტი მდგომარეობს იმაში, რომ მთავრობის ყოველი აგენტი ადგილობრივ თითქოს გრძნობს, რომ ის არის, როგორც იტყვიან „рыцарь на часъ“, რომ მისი ბატონობა მოკლე დღიანია და ის სცდილობს, რაც შეიძლება მალე გაისქელოს ჯიბე, მალე გატყაოს ხალხი, მეტი მოხვეტოს და მიითვისოს საერთო სიმდიდრე, რადგანაც მალე წავა, მალე მოშორდება სამართველო აპარატს „а тамъ хоть трава не расти“. აი ლოღიკა და მოსაზრება, რომელსაც მისდევს თითქმის ყოველი მოხელე, მთავრობისაგან თუ პარტიული ამხანაგი; აი საზომი რომლითაც უდგებიან ისინი ხალხს და ლოღიკური დასკვნა აქედან ერთია: ხალხი მათ არ ენდობა ხალხი წინააღმდეგია ასეთი მართვა გამგეობის და როგორც ყველგან და ყოველთვის ის ზიზღით შესცქერის ასეთ „უნტერ პრიშიბეევებს“. ყოველი სოციალ დემოკრატი ასეთი სიტყვების შემდეგ თავის სამღვთო მოვალეობათ რაცხს, ზევსივით გადმოგხედოს მაღლიდან, დაგისახელოს არჩევნები ამა თუ იმ ადგილს სადაც მათ უმეტესობა მიიღეს და დასასრულ მიგითითონ დამფუძნებელი კრების შემადგენლობაზე. მაგრამ ვინც იცის ამ არჩევნების ღირებულება ვინც გაცნობილია სოციალ დემოკრატიის საარჩევნო ხრიკებს, ან ვინც გაითვალისწინებს სოციალ დემოკრატიულ ადმინისტრაციას—მისთვის ესეთი არჩევნებიც და მისი შედეგებიც მეტათ საეფო და იაფფასიანი ხდება. მრავალი მაგალითებია ამას დამამტკიცებელი. მაგრამ ო რაც ამ ორი კვირის წინეთ ოკრიბაში ხდებოდა—ყოვლად წარმოუდგენელი და შეუწყნარებელია. ჩვენ შეგვიძლია გადაჭრით ვსთქვათ რომ არამც თუ რომელიმე რეჟიმის დროს, არამედ მსოფლიო ისტორიაშიც იშვიათია ასეთი ამბები, როგორიც დაატრიალა მთავრობის მიერ გამოგზავნილმა „ხელმწიფემ“—სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა ადეიშვილმა ოკრიბაში, ყაჩალ მორჩაძის დაჭერის თაობაზე. ალბათ მას მიანდო მთავრობამ მორჩაძის დაჭერა და მან თავისი რაზმით ოკრიბაში ნამდვილი ვანდალების შემოსევა განიმეორა. მთელი ორი კვირის განმავლობაში ის იჭერდა მორჩაძეს იმ გზით რომ 14 დღე სცემდა ხალხს და აწიოკებდა. მე აქ არ დავასახელებ რას სჩადიოდა ის ს. ოჯოლაში. ეს დეე მისმა მოქალაქეობრივმა სინდისმა იკისროს.

ჩვენ ვნახეთ მწოლიარე ავათმყოფები, რომელნიც ცემით ლოგინში ჩავარდენ, ჩვენ ვნახეთ სოფლის მიერ არჩეული საპატიო პირები, რომელთაც მთელი ტანი ცემისაგან სისხლში ქონდათ გასვრილი და ერთი ვერშოკი ადგილი არიყო დარჩენილი სხეულზე უცემი, ვნახეთ მათრახის ცემით თვალ წავარდნილი ადამიანები, ვნახეთ დაღარიბებული, გაღატაკებული ხალხი, ვნახეთ აუწერელი სანახაობა. იყო შემთხვევა, როდესაც ღვინით გალეშილმა მილიციონერებმა კანცელარიის სატუსაღოდან გამოიყვანეს დაჭერილი საპატიო ირები, დახადეს ტანსაცმელი და „აბავის გაქვს ცემის ხოში“-ს ძახილით ღამით დაიწყეს ცემა და საშინელი ინკვიზიცია. მაგრამ ვინ ჩამოთვლის ბ. ადეიშვილის საქციელს.

ამას მხოლოთ პირუთვნელი კომისია თუ გამოიძევს. ხალხმა სამჯერ-ოთხჯერ დაანახა პირისპირ მორჩაძე მილიციას. და მათში ყველა ისეთი გახრწნილი გამოდგა, რომ ზოგჯერ მას დროზე არ ესროლეს, ზოგჯერ სრულიათაც არ წავიდენ მის დასაჭერათ და ამის შემდეგ ადგილობრივ ადმინისტრაციას კიდევ შესწევს გამბედაობა დაგვასხას ახალი ავაზაკთა ბრბო და წინადადება მოგვცეს-თქვენ, თქვენი ძალით დაიჭირეთ მორჩაძეო. აქ არ შეიძლება ყოველივეს დაწერა. ხალხი ღელავს. ხალხი მოითხოვს სამართალს, ხალხი მოითხოვს ჭეშმარიტ მსჯავრს.

უმაღლესმა მთავრობამ ამას მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს. მან დაუყოვნებლივ უნდა გადაიყენოს ადეიშვილი და მისი „გვარდია“, დაინიშნოს სასტიკი გამოძიება ამ უმაგალითო, გულის ამღვრევ ამბების გამო და პასუხისგებაში მისცეს ყველა ის ვინც მთავრობის სახელით ხალხს ძალეტდა, ავიწროებდა, ქრთამს იღებდა. ხალხს კონტრიბუციას ადებდა და მით ჩვენს მთავრობას და დამოუკიდებლობას ძირს უთხრიდა და სახელს უტეხავდა.

ხალხი მოითხოვს სამართალს, სამართალისა უნდა იქნეს.

ოკრიბელი გლეხი.

დეპეშები.

(საქ. დეპ. სააგ.). 25 აპრ.

ინგლისური პრესა.

ეკონომიური საბჭო.

ორშაბათს შესდგა ეკონომიურ საბჭოს მე-12 სხდომა. ვინაიდან აღიძრა მრავალი საკითხი უმეტეს ნაწილათ ბელგიის შესახებ, გადასწყვიტეს წინადადება მისცენ ბელგიის მთავრობას, რათა მან თავისი წარმომადგენლები დანიშნოს საბჭოს და მის სექციების სხომაზე დასასწრებლათ. საბჭომ მოიწონა გადაწყვეტილება, რომ ის ზედმეტი ნედლი მასალა რომელიც ზავის შეკვრამდე მოკავშირეებს ეკუთვნის გაიყიდოს საგანგებო კომიტეტის მიერ ფინანსიურ და ბლოკადის სექციებთან ერთათ შემუშავებულ საერთო საფუძველებზე.

სურსათი დამშეულ ქვეყნებს.

დახმარების ორგანიზაციის მთავარმა დირექტორმა მოხსენება წარმოადგინა მარტის განმავლობაში შეერთებულ შტატების, დიდი ბრიტანიის, საფრანგეთის და იტალიის მიერ მიღებულ ზომების შესახებ. ამ ხანში დარიგებულია 111, 280,000 დოლარათ ღირებული 388,000 ტონა სურსათი საბჭომ გადასწყვიტა მომავალ თვეში სურსათის მიწოდება გააძლიეროს. საბჭომ კვლავ განიხილა იტალიისთვის ქვანახშირის მოწვდენის გაუმჯობესების საკითხი, რადგან იტალია ქვანახშირის დიდი საჭიროებას განიცდის საბჭომ საგანგებო კომიტეტი დანიშნა სწრაფი ზომების მისაღებათ.

ანტლანტიკზე გადაფრენა.

ლეიტენანტმა შეფილდმა პირველად განაცხადა ოფიციალურად, რომ მას სურს ატლანტიის ოკეანეზე გადაფრინდეს საზღვაო ჰაეროპლანზე, რომელიც შეერთებულ შტატების ფლოტის სიაშია შეტანილი. შეფილდი აფრინდება პოკვიდან შემდეგ ნაპირის გასწვრივ: ნიუფლანდლემდე, სადაც როგორც სჩანს 3 გემი მოელოდინება მას. ამ გადაფრენაში ადგილი არ ექნება შეჯიბრებას და ყოველგვარი ზომები იქნება მიღებული უბედურ შემთხვევის თავიდან ასაცილებლად. ფიქრობენ, რომ გადაფრენა მაისის პირველამდე მოხდება. გაზეთებს ამის შესახებ მხოლოდ 24 საათით წინ შეატყობინებენ.

ამერიკის ფლოტი

ატლანტიის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილის ამერიკის ფლოტი იდგუდხონთან დგას და შესდგება ას სამხედრო ერთეულებისაგან. ეს უდიდესი ფლოტი, რომელიც კი ოდესმე ნახულა, შესდგება 14 ორედნოუტისაგან, რომელთაგან ორზე ელექტრონის მატორია.

გამარჯვების სესხი

ნიუიორკში მოვიდა 115 ბელგიელი დაჭრილი ოფიცერი და ჯარისკაცი, რომელთაც სამხედრო წარმატების ნიშნები აქვთ მიღებული. მათ ხელი უნდა შეუწყონ „გამარჯვების სესხზე“ ხელის მოწერას.

ოთხთა საბჭო

ოთხთა საბჭომ დღევანდელ სხდომაზე განიხილეს ბელგიის საზღვრების შესწორების და რუსეთის დამშეულ ოლქებში სურსათ-სანოვაგის გაგზავნის საკითხები. დღეს შუადღის შემდეგ ოთხთა საბჭოს თითბირი ქონდა ულუხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან, რომელთაც სურდათ გაეგოთ შესაფერ სექციების მიერ მართლა შემუშავებულია თუ არა ზავო ხელშეკრულების ტექსტი.

ხალხთა ლიგის წარმომადგენელი სტამბოლში

სკადეს შეერთებული შტატები დაეყოლებიათ, რომ სტამბოლის მართველობისთვის ხალხთა ლიგის რწმუნებულნი დაინიშნონ. ეს პროექტი ამერიკულ წრეებში მოიწონეს.

ამერიკის, საფრანგეთის, ინგლისის კავშირი

მიუხედავათ იმისა, რომ ყველაფერი რაც კი ხდება საიდუმლოებით არის მოცული, ზოგიერთი ცნობები მაინც იბეჭდება გაზეთებში. მაგალითად, მართლდება ის ხმები, რომ ამერიკამ თავდაცვითი კავშირი შეკრა საფრანგეთსა და ინგლისთან. საფრანგეთის, ინგლისის და ამერიკის დელეგაციათა არც ერთი წევრი ამის შესახებ არას ამბობს. ფრანგულმა პრესამ მოულოდნელათ კილო გამოიცვალა და ამერიკის ყველა პროექტები მოსწონს.

ერთი რწმუნებულთაგანი, რომელიც ამ შემთხვევაში ავტორიტეტია, ამბობს, რომ ეს პროექტი შეიქმნა იმის წყალობით, რომ საფრანგეთმა დახმარება გაუწია ხალხთა ლიგის შექმნას და ამაში ხედავს ამ სისუსტეს. თუ ლიგა ძლიერი იქნება მაშინ მოგერიებითი კავშირი საჭირო აღარ იქნება, ხოლო თუ იგი აუცილებელია, მაშინ ლიგის შექმნას მნიშვნელობა ეკარგება, განსაკუთრებით ბევრ სხვა ერთათვის, რომელთაც მოკავშირენი არა ყავთ.

ფრანგული პრესა

გერმანიის რწმუნებული ვერსალში.

ვილსონმა დღეს, საღამოთი ნოტით დაადასტურა, რომ გერმანიის რწმუნებულთა ვერსალში მოწვევა აპრილის 25 თვისაა დანიშნული.

საკითხების განხილვა.

სულ მოკლე ხანში გადასწყვეტენ იმ საკითხებს, რომელიც საბოლოოთ არ განუხილავს ჯერ.

მღელვარება გერმანიაში.

ბერლინიდან მიღებული დეპეშები იუწყებიან, რომ მიუნხენში უწესრიგობა იზრდება. სოციალისტური მთავრობა ერთმანეთს იარაღით ებრძვის ძალაუფლების ხელში ჩასაგდებათ. დიუსელდორფსა და დრეზდენში მდგომარეობა ასეთივეა. დრეზდენში აჯანყებულებმა ერთი მინისტრი მოკლეს

ბოლშევიკური ცნობები

მოსკოვი, აპრ. 16. სიმბირსკის გუბერნიაში კომუნისტების და მათ თანაგრძნობთა მობილიზაცია აღფრთოვანებით ტარდება. სიზრანში 5 დღეში შესდგა ტროცკის სახელობის კომუნისტების პოლკი.

სიმბირსკი. აპრ. 16. ბეგუიმიდან გამოქცეულები ამბობენ, რომ რომელიმე სოფელთან ბრძოლის შემდეგ კოლჩაკებს მიჰყავთ სამღვდელოება პარაკლისებს იხდიან, შემდეგ 40 წლამდე ყველა მამაკაცებს ჯარში იწვევენ და არწმუნებენ მათ, რომ აიღებენ თუ არა უახლოეს ქალაქს 3 დღის შემდეგ, მათ ყველას განთავისუფლებენ.

ნაუენი. აპრ. 16. მთელი მიუნხენი კომუნისტების ხელშია. აირჩიეს აღმ. კომიტეტი ლევინის თავმჯდომარეობით. მიუნხენის გარნიზონი კომუნისტების მხარეზე გადავიდა. ახალმა კომენდანტმა ბურჟუაზიისადმი ძალიან მკაცრი განკარგულებანი გამოსცა. პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ ყოველგვარი მოძრაობა შეუძლებელი გახდა.

სამარა. აპრილის 21. აღმოსავლეთის ფრონტზე ბუნებრივ დაბრკოლებათა გამო დამხმარე ჯარების მოსვლის წყალობით მტრის წინ სვლა შევაჩერეთ. ზოგან ჩვენი ჯარი ნაწილობრივ შეტევაზე გადადის. ბუგულმასა და ბუგურუს-

ლანის შუა ჩვენმა ჯარმა რამდენიმე მცირე გამარჯვება მოიპოვა. ბუგურუსლანთან ჩვენ ჯავშნიანმა მატარებელმა მტრის მოწინავე ხაზებს დაუშინა.

სიმფეროპოლი. აპრილის 17. წითელი ჯარი სევასტოპოლს მჭიდროთ გარს შემოერტყა. ნავთსადგურში სდას მოკავშირეთა სამხედრო ფლოტი, რომელიც ზარბაზნებიც ქალაქისკენაა მიბრუნებული. ქალაქში დარჩა ფრანგების და სენგალელთა მეცხოვნე ჯარი. მდგომარეობა მწვავეა. მუშათა ორგანიზაციები მზადაა გამოსვლის მოსაწყობად. ყირიმის მთავრობა სტამბოლში გადავიდა.

სიმფეროპოლი. აპრ. 17. მოკავშირეთა სარდლობის და ჩვენი დელეგაციის სამი დღის მოლაპარაკების შემდეგ მოხდა შეთანხმება, რომლის ძალითაც დროებითი ზავი ჩამოვარდა აპრილის 25-ამდე: ქალაქში ძალაუფლება რევოლუციონურ კომიტეტის ხელში გადადის.

კიევი. აპრ. 17. საბჭოთა ჯარმა დაიჭირა კამენეც-პოდოლსკი და ოვიდიოპოლი, ავერმანის ახლო. დნესტრის შესართავი ჩვენს ხელშია. ჩვენი არტილერია ტინასპოლს უშენს. ჩვენ დავიჭირეთ სევასტოპოლის ყველაზე მტკიცე სიმაგრე მალახოვ ვურგანი, ფეოდოსიის მიმართულებით დავიჭირეთ ყარასუ ბაზარი, ატანია და გრამატიკოვო. „რევოლუციონერთა ბორბა“ იწყება, რომ ფეოდოსიაში მუშათა მასიური აჯანყებაა და საბჭოთა ჯარი წინ მიიწევს. მოხალისეთა მიერ მცხოვრებთაგან შეკრებილი და აჯანყების ჩასაქრობათ გაგზავნილი ჯარი დამარცხდა და უკან დაიხია.

მთიელთა რესპუბლიკა და მოსალისეთა არმია

გაზ. „აზერბეიჯანში“ დაისტამბა მთიელთა ნთავრობის დიპლომატიური წარმომადგენელის ა. კანტემირის შემდეგი განცხადება:

გაზ. „მთლიან რუსეთში“ რიაქციონერთა წრეების მიერ გავრცელებული ცნობები ვითომც მოხალისეთა ჯარს აეღოს გუდერმესი და ხასავიურტა, პეტროვსკა და ტემირ ხან-შურას შუა რკინის გზის მიმოსვლა შეჩერებულიყვეს და ვითომც შამილ კალეში გენერალი პრჟევალსკი ბრძანებლობდეს სიმართლეს არ შეესაბამება: ხასავიურტი ყოველთვის და ეხლაც იმყოფება მთიელთა მთავრობის ხელში; გუდერმესი სამი დღის ბრძოლის შემდეგ მთიელთა ჯარმა აიღო. პეტროვსკაში (შამილ კალე) მთელი ადმინისტრატიული და სამხედრო ძალაუფლება ეკუთვნის მთიელთა მთავრობას პოლკოვნიკ მაგომედოვის მეთაურობით, რომელიც იმავე დროს არის გარნიზონის უფროსიც

გენერალ პრჟევალსკის რაზმს, რომელიც დროებით იმყოფებოდა პეტროვსკში მოკავშირეებმა ხუთი დღის წინეთ უბრძანეს შამილ კალე დაეტოვებია, რომლის უფლება ვრცელდებოდა მხოლოდ მის რაზმზე. მთიელთა არცერთ სამხედრო ნაწილს უარი არ უთქვამს ჩეჩნეთის დახმარებაზე და დენიკინის წინააღმდეგ გალაშქრებაზე. ჩეჩნეთს მორჩილება დენიკინისთვის არ გამოუცხადებია და რჩება მთიელთა კავშირის ერთგულ წევრად.

გროზნაში ხდება არა ყრილობა, როგორც „მთლიან რუსეთში“ სწერენ, არამედ კონფერენცია დენიკინის, მთიელთა მთავრობის წარმომადგენლების და მოკავშირეთა წარმომადგენლების დასწრებით, რომელთა თავში სდგას გენერალი ბრეგსომი.

„კრებული
იოსებ ოცხელისათვის“.

ამა წლის მარტის 27-ს გარდაიცვალა დამსახურებული პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იოსებ ივ. ოცხელი. განსვენებულის ხსოვნის პატივსაცემად განვიზრახეთ გამოვსცეთ **„კრებული იოსებ ოცხელისათვის“**, რომელშიაც აღიწერება მისი ცხოვრება და მოღვაწეობა.

ვაუწყებთ ამას პატივცემულ საზოგადოებას და ვთხოვთ განსვენებულის პატივისმცემელთ: მეგობართ, თანამსახურთ, ნამოწაფართ და მოწაფეთ, რათა კეთილ ინებონ და მოგვაწოდონ ხსენებული კრებულის შესადგენად ქვემორე აღნიშნული ხასიათის მასალები: ა) ბიოგრაფიული ცნობები, ბ) ნეკროლოგები და მისი მოღვაწეობის დახასიათებანი, გ) სიტყვები (სხვადასხვა ადგილას წარმოთქმულნი), დ) სამგლოვიარო დეპეშები, ე) მოგონებანი, ვ) განსვენებულის ზოგი კერძო ხასიათის წერილები, ზ) ცნობები იმის შესახებ თუ ვინ ან რომელმა დაწესებულებამ რითი აღნიშნა განსვენებულისადმი პატივისცემა და Თ) განსვენებულის პორტრეტი და ისეთი ჯგუფი, რომელშიაც იგი არის გადაღებული.

მასალების მიღება სწარმოებს ვადით არა უგვიანეს **მაისის დამლევისა** შემდეგი მისამართით: ქ. ქუთაისი, წიგნის გამომცემლობა „განათლება“, „კრებული იოსებ ოცხელისათვის“.

პატივისცემით: **კრებულის რედაქცია.**

P. S. ვთხოვთ „სოც.-დემ.“ და „ხალ. მეგობ.“ რედაქციებს ეს წერილი გადაბეჭდონ.

კრ. რ. დ.

ქუთაისი, აპრილის 25, 1919 წ.

მეტი ყურადღება ახალთაობის აღზრდის საქმეს ჩვენში.

(დასასრული)

საარჩევნო, პარტიულ მუშაობაში მათმა ბრალიანმა თუ უბრალო ჩარევამ სულ მოაცილა მოზრდილ თაობის უმრავლესობა სწავლა-ცოდნის, მეცნიერულ განვითარების საქმეს; ისინი ყველაფრის და ყველას წვრილმან, შაბლონიურ და მოურიდებელ კრიტიკანებათ აქცია და მოაცდინა ნამდვილ სერიოზულ განათლების საქმეს შკოლასა და ოჯახში, სადაც მათ აღარც გული უდგება და აღარც გონება იზიდავს.

ჩვენი ცხოვრების ასპარეზზე ძველათ თუ ახლად გამოსული პარტიები ამ მოვლენას ახალგაზდობის ცხოვრებაში ხელს უწყობდენ არა მარტო ცხოვრებაში, პრესაშიაც კი უწოდებდენ მოსწავლეებს საარჩევნო პარტიულ აგიტაციისაკენ და ამგვარათ ჩაითრიეს ისინი მოუმზადებელნი მწერლობაშიაც კი, სადაც დღეს უნიჭო მჯღაბნელები ისე მომრავლდენ, რომ ასეთ საზღაპრო სიძვირეშიც კი ნაირ-ნაირ პოლიტიკურ გაზეთების გამოცემებით ქართველ მკითხველს ლამის არის პერიოდული გამოცემების კითხვა შეაძულონ, სერიოზულ მათგანზეღაც გული აუცრუეს.

ამ ლიტერატურულ ნაკლთან ერთათ უდღეურ პარტიათა პრესაზე დღესაც დიდძალი საზოგადოებრივი ენერგია და სიმწრით ხალხში, ფართო საზოგადოებაში შეგროვილი ფულებიც იხარჯება, რომლისაგანაც შეიძლებოდა დაგვეგროვებინა ასეთი დიდი საგამომცემლო თანხა, რომლითაც დღევანდელ სიძვირის დროსაც კი შევქმნით საბავშო ლიტერატურის თვალსაჩინო გამომცემლობას. ამრიგათ კი ოდნავ მაინც შევანელებთ იმ მწიგნობრობის შიმშილს, რომელსაც დღეს ახალთაობა ასე განიცდის და გამოსავალი გზა ვერ უნახავს და ფუტურისტული გამოცემებით ირთობს თავს...

დღეიდან, რაკი უმთავრესი, სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის არჩევნები უკვე დამთავრდა და კულტურულ მუშაობისათვის ნიადაგი მომზადდა ვისაც გული და გონება ერჩის ამ ნიადაგზე ერთობლივ მუშაობას უნდა შეუდგეთ და ყველამ აქ უნდა გამოვიჩინოთ თავიანთი უნარი საერთო საქმის სასარგებლოთ მოქმედებისა. დღეიდან მაინც, ვამბობ მე, უბრალო პარტიულ კინკლაობაზე არ უნდა იხარჯებოდეს სახელმწიფოებრივი, ხალხის გონებრივი თუ ქონებრივი ძალღონე, მისი დღემდი პოტენციალურათ დაგროვილი ენერგია. დროა ჩაუკვირდეთ დღევანდელ რეალურ მოთხოვნილებებს ჩვენი ერისას, ობიეკტიურის თვალსაზრისით შეეხედოთ ყოველივეს, წუთიერ, წარმავალ გატაცებას თავი ვანებოთ; და დავარიგოთ მიუჩინოთ თითეული ჩვენი ძალები შესაფერ კულტურულ საქმიანობას და მოუნახოთ ყველა პარტიულ შოვინისტ-ენტუზიასტებს პრაკტიკულათ სამოქმედო საქმეები და ამგვარათ შევაჩვიოთ ისინი ნამდვილ რეალურ ევროპიულ საქმიანობას. ამას მოითხოვს დღევანდელ დროის ვითარება...

რაც მალე, დროიანათ შესრულდება ეს მით უმჯობესია, რადგან სხვადასხვა არჩევნების გამო მოსწავლე ახალგაზდობა, რომელმაც ამ რევოლიუციონურ ხანაში სამეცნიერო სწავლა განათლებაზე სულ აიცრუვა გული, ირყვნება, დაგვრჩება ხელში სრულიად განუვითარებელი, უვიცი, დ ლაპარაკათ გადაქცეული დ თავხედი ახალთაობა.

ჩვენი საზოგადოებრივი ძალების ამგვარათ აღზდა—ჩამოყალიბების და განაწილების დრო სწორეთ დამდგარია და თუ გვინდა მოსულ უკულტურობანების ყურადღება მივიქციოთ, ჩვენი კულტურული საქმიანობის უნარიც უნდა ვაჩვენოთ, თორემ მარტო ისტორიულ ვეკაცობით ფონს ვერ გავალთ.

ამავე დროს, რაკი სხვა სასიკეთო მონაპოვართა შორის სამშობლო ენაზე სწავლა-აღზდის საქმის სრულ თავისუფლებას ველირსეთ, მშობლებსაც მეტი გულის ყური, ყურადღება მართებთ თავიანთ შვილების მშობლიურ ენაზე აღზდას მეტი ყურადღება მიაპყრონ, მათში აღძრული სურვილი ქართულ წიგნების, ჟურნალების კითხვისა მუისვე დაკმაყოფილონ, მათ და ისინი ბავშობიდანვე შეაჩვიონ ქართულ აზროვნების, ფიქრს გამოთქვამს და გამოთქმულის მართლწერას. აი სადღეისო საზრუნავი ყოველი მშობლისა დაბალი თუ მაღალი წრეებიდან ჩვენი ახალგაზრდობის აღზდის გარშემო, ძველი რეჟიმის გადაგვარებულ დებსა და ძმებს აგვაცდენს ახლო მომავალში და მათ ძალღონეს სამომავლო სწორ მიმართულებას მისცემს.

ისიდორე ქვიცარიძე.

კორესპოდენცია.

აბაშის რაიონი. ამ რაიონში საერთოდ სიწყნარეა, ბოლო ხანებში წვიმებია. მიუხედავად ამისა ზოგან გლეხობამ მოასწრო დახნა მიწებისა, მაგრამ უამინდობა ძალიან უშლის ხელს. აღსანიშნავია ის, რომ აქ მეურნეები ენერგიულად კიდებენ ხელს ვაზ-ვენახების მუშაობას და ამისათვის ნიადაგის მომზადებას, მაგრამ რას გახდება მარტო კეთილი სურვილი [illegible] კი მას საიმისო ცოდნა [illegible] აქვს. მან არ იცის თუ რა [illegible] როს ნიადაგი ვაზის მოშენების საქმეს, თუმცა ჰავა და მიწის სინოყიერე ამისათვის საუცხოოა. დახმარება, რჩევა-დარიგება საჭიროა. სამაზრო ერობას კი ამ მხრით სამწუხაროდ არაფერი არ გაუკეთებია. ასეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც არის მეურნეობის მოგვარების საქმე, მხოლოდ მიტოვებულია, ამ რაიონში და ისე თავისთავად ეს რაიონი ერთი საუკეთესო რაიონთაგანია მთელს სამეგრელოში მეურნეობის მხრით. აქ მუშაობა დაიწყო ადგილობრივ ერობის გამგეობამაც, მაგრამ ჯერ-ჯეროობით მისი მოღვაწეობა მხოლოდ სიმიდის შესყიდვის საქმეში განისაზღვრება, თუმცა ის ჯერ ჯეროობით ნორჩი და ახალი დაწესებულებაა, მაგრამ მაინც სამაზრო ერობასთან შეთანხმებით უნდა აქცევდეს ჯეროვან ყურადღებას ამ საქმეს. რომ გლეხებს ელემენტარული წარმოდგენა მაინც ქონდეთ იმისა თუ რა შეუძლია, ერობას გაკეთოს თუ კი გლეხები გვერდში ამოუდგება და გამოცდილი აგრონომის დახმარებით მიაწვდის გლეხებს აგრონომიულ ცნობებს და დარიგებებს თუ როგორ უნდა დამუშავდეს მიწა, რომ მისცეს პატრონს ეს თუ ის ნაყოფი. უნდა ითქვას, რომ ამ მხრით არაფერი გაკეთებულა აბაშის რაიონში.

ათიოდე დღის წინეთ აბაშის რაიონში და თვით დაბაში სიმიდი ფასობდა 100-120 მანეთამდე, მაგრამ ხალხში გავარდა ხმა, რომ „ინგლისიის მთავრობიდან საკმაო პური მიიღო მთავრობამ“ მას შემდეგ კი ფასმა საგრძნობლად დაიწია და დღეს იგი ფასობს 45—50 მდე.

აბაშის რაიონში არსებობს სრულ უფლებიანი 8 კლასიანი შერეული გიმნაზია, რომელისათვის საკუთარი ბინისა და მიწის შესაძენად არჩეულია კომისია, კომისია ეძებს შესაფერს ადგილს; იმედია ამ მხრით მას ხელს მოუწყობენ შეგნებული მოქალაქენი და მკვიდრ ნიადაგზე დააყენებენ სწავლის საქმეს. სასურველია გიმნაზიასთან დაარსდებოდეს აგრონომიული და სამეურნეო განყოფილებაც (გაიხსნებოდეს). ეს გაცილებით უკეთესია ხალხისათვის ვიდრე სხვა რაიმეს სწავლება. ამ მხრით ბევრს მოითხოვს აბაშის რაიონი, მას არა ყავს მცოდნე მეურნეები, თორემ ეს რაიონი საუკეთესო რაიონთაგანია მთელს სამეგრელოში. მაშ მეტი ყურადღება აბაშის რაიონს.

ვალ. წულეისკირი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის

ᲣᲛᲬᲔᲚ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ“-ᲖᲔ

გაზეთის ფასი: ერთი თვით 10 მან. სამი თვით 25 მან. ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდის.

ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“

1919 წ. ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ 1919 წ.

გაზეთი თებერვლიდან წლის დამლევამდე ღირს 135 მანეთი.

მისამართი: თფილისი, სასახლის ქუჩა, № 5), (ქართული ქარვასლა). ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგრამისთვის: თფილისი, „საქართველო“, ტელეფონი № 15—73.

მსწრაფლმბეჭდავი „ძმობა“ პუშკინის ქუჩა სახლი გოკიელისა ქუთაისში.